

ექსპერტიზის დანიშვნის ზოგადი პროცედურები

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზის დანიშვნა შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, საჯარო უწყებებს.

ექსპერტიზის დანიშვნა შესაძლებელია:

- ბიუროს ნებისმიერ ფილიალში
- საფოსტო მომსახურების საშუალებით

ექსპერტიზის დასანიშნად წარსადგენი დოკუმენტაცია რეზიდენტი ფიზიკური პირებისთვის:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- განაცხადი ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით (ფორმდება კვლევის დანიშვნისას, ბიუროშივე)

შენიშვნა: ექსპერტიზის დანიშვნა შესაძლებელია სხვა პირის ნაცვლად ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

არარეზიდენტი ფიზიკურ პირებისათვის:

- ნოტარიულად ნათარგმნი პირის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი;
- განაცხადი ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით (თარჯიმნის ან ნოტარიუსის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი და დამოწმებული)

შენიშვნა: ნივთმტკიცების ან გამოსაკვლევი მასალის წარდგენა ხდება დამნიშნავის მიერ განაცხადთან ერთად, ან კვლევის დროს ექსპერტის მოთხოვნის შემდეგ.

იურიდიული პირებისთვის / საჯარო უწყებებისათვის

- განაცხადი ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე ხელმოწერილი უწყების ხელმძღვანელის ან მისი ნდობით აღჭურვილის პირის მიერ შესაბამისი მინდობილობის წარმოდგენის საფუძველზე. განცხადების/მომართვის წარდგენის შემდგომ დამკვეთსა და ბიუროს შორის ფორმდება ორი ტიპის ხელშეკრულება:
- ერთჯერადი
- მრავალჯერადი

შენიშვნა: ნივთმტკიცების ან გამოსაკვლევი მასალის წარდგენა ხდება დამნიშნავის მიერ განაცხადთან ერთად, ან კვლევის დროს ექსპერტის მოთხოვნის შემდეგ.

ექსპერტიზის დასკვნის გაცემა:

- ექსპერტიზის დასრულებისთანავე, დასკვნის მომზადების შესახებ ინფორმაცია დამკვეთს ეგზავნება განცხადებაში მითითებულ მობილურ ნომერზე სმს შეტყობინება სახით .

- საექსპერტო დასკვნის გატანა დამკვეთს შეუძლია მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში (SMS) მითითებული მისამართიდან.
- ფიზიკური პირისა და კერძო ორგანიზაციების შემთხვევაში, დასკვნა არ გაიცემა თუ ექსპერტიზის საფასური სრულყოფილად არ იქნება დაფარული.
შენიშვნა: არარეზიდენტი პირების შემთხვევაში ექსპერტიზის საფასურის გადახდა ხორციელდება ექსპერტიზის დანიშნისას.